ხელშეკრულება №350601/041

ქ. თბილისი

" 18 " მარტი " 2011წ.

ერთის მხრივ, სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" გენერალურ დირექტორ ნ. ავალიანსა (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" გენერალურ დირექტორ ვ. ხორავას (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის.

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.

1.2 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 10[1], პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ").

1.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 4 მარტის №01/997 წერილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ასიგნებების ფარგლებში ავტომანქანებისათვის საწვავის (შემდგომში "საქონელი" ან „საწვავი") შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 11 070 (თერთმეტი ათას სამოცდაათი) ლარი რაც შეიცავს დ.ღ.გ.-ს, აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

3.2 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

ა) ერთი ლიტრი „რეგულარის" მარკის საწვავის („ევრო რეგულარი") ფასი შეადგენს 2.15 ლარს;

ბ) ერთი ლიტრი დიზელის ("დიზელ ენერჯი") ფასი შეადგენს 2.20 ლარს.

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია:

ა) 3000 ლიტრი „რეგულარის" მარკის ბენზინი („ევრო რეგულარი");

ბ) 2100 ლიტრი დიზელი („დიზელ ენერჯი");

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

5.2 "საქონლის" უხარისხობის შემთხვევაში "მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით განახორციელებს "საქონლის" სრულ და დროულ შეცვლას. საქონლის უხარისხობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის (ლიცენზირებული ლაბორატორიის) დასკვნით.

5.3 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული "საქონელი" მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 "საქონლის" მიწოდების ადგილი – ქ. თბილის, ჭავჭავაძის გამზ 74[ბ]. სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს ოფისი.

6.2 "საქონლის" მიწოდების ფორმა – მოთხოვნის შესაბამისად, ტალონების სისტემით.

6.3 "საქონლის" მიწოდების ვადა – ხელშეკრულები გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღე.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

7.2 "საქონელი" მიღებული იქნება უშუალოდ "შემსყიდველის" ან მის მიერ დანიშნული ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, შემსყიდველი ვალდებულია წარმოუდგინოს მიმწოდებელს შესაბამისი წესით გაცემული მინდობილობა.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 საწვავის ტალონების ყოველ პარტიას უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

8.2 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკვეთიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველ ტალონზე კომპოსტერის მეშვეობით წერტილოვანი ნახვრეტებით ამოტვიფრული უნდა იყოს ინგლისური ასო **W.** ტალონზე ასევე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით „ვისოლი";
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

8.3 საწვავის გაცემა წარმოებს შემსყიდველის მიერ დამოწმებული ტალონების საფუძველზე, რისთვისაც შემსყიდველმა ტალონის უკანა მხარეზე უნდა დასვას თავისი ბეჭედი. დაუმოწმებელ ტალონზე საწვავი მის დამოწმებამდე არ გაიცემა.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

8.5 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

9. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

9.1 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საწვავის საფასური საწვავის ტალონების გადაცემაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

10.1.1. აცნობოს "მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.1.2. უარი თქვას უხარისხო "საქონლის" მიღებაზე.

10.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

10.2.1 მიაწოდოს "შემსყიდველს" "საქონელი", რომელიც სრულად შეესაბამება ხელშეკრულებისთ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

10.2.2 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

10.3.1 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების პირობების შესრულება;

10.3.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

10.3.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებლის" ქმედების გამო იგი დგება იმ ფაქტთან, რომ შეიძლება დაირღვეს სახელმწიფო ინტერესები, ამასთან მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;

10.3.5 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

10.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მიწოდებული "საქონლის" ღირებულების სრული ანაზღაურება.

10.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება "საქონლის" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

10.4.4 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" ზარალის სრულად ანაზღაურება, რაც გამოიწვია შემსყიდველის მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10.4.5. დროებით (არაუმეტეს 1.5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1 "მიმწოდებელი" აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდაზე, რომლის გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით.

12.2 "მხარეებს" არ აქვთ უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინონ მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

12.3 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.1.1 თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი "საქონელი" ან მისი ნაწილი;

13.1.2 თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2 მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ რომელიმე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

13.3 ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" უკვე ფაქტიურად მიღებული "საქონლის" ღირებულება.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის ყოველი პარტიის მიწოდებისას მისი ფასის განსაზღვრა მოხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

C=Rx(P+Z)x(100%+18%)x D/1000, სადაც:

ა) C = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში);

ბ) R = წინადადების წარმოდგენის (ხელშეკრულების გაფორმების) ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი);

გ) P = წინადადების წარმოდგენის (ხელშეკრულების გაფორმების) ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN–ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი მონაცემის საშუალო ფასი. (ცვლადი კომპონენტი);

დ) Z = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი;

ე) 18% = დღგ;

ვ) D = წინადადებით წარმოდგენილი ნავთობობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.

(ფასის გაანგარიშების ფორმულა, რომელიც წარედგინა შემსყიდველს, თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, (დანართი №1).

14.2 "C"–ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ "R"–ის ან/და „P"–ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს "C"-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული) ფასთან მიმართებაში. ამასთან, "C" უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს მიმწოდებლის ქსელში იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03 ლარით) ნაკლები.

14.3 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისგან საწვავის ყოველი პარტიის მიწოდების თაობაზე მოთხოვნის მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისთვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუკი ადგილი ექნება 14.2 პუნქტში მითითებულ ფასის შეცვლის საფუძველს, შემდგომში წერილობითი შეთანხმებით გააფორმონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი. ფასები ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელს საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

14.4 ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

14.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად ან/და შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს მეორე მხარის მიმართ რაიმე სახის საჯარიმო სანქციის ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის გამოყენებას.

15. დაუძლეველი ძალის მოქმედება

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით და "საქონლის" მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენები, რომელსაც ცნობენ მხარეები.

15.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

16.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

17. გამოსაყენებელი სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

19. ურთიერთობა მხარეებს შორის

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის

20.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საწვავის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

20.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

20.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

21. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

21. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განხორციელდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

22. უფლებების გადაცემა

22.1 მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

23.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

23.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

23.4 ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

24. განსაკუთრებული შენიშვნები

24.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს და არ შეიძლება ცდებოდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს.

ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა "მიმწოდებელს".

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351	74ბ ჭავჭავაძის გამზ. თბილისი,
მ. ასათიანის ქ. №9	0162, საქართველო
ტელ: 39-89-46	საბანკო რეკვიზიტები:
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	ს/ს თი-ბი-სი ბანკის მარჯანიშვილის ფილ.
ბ/კ 220101222 ა/ა 200122900	ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE48TB1100000018467453
გენერალური დირექტორი	გენერალური დირექტორი
ნ. ავალიანი	ვ. ხორავა
ბ.ა.	ბ.ა.

2011 წლის 18 მარტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი №1

ფასის დაანგარიშების ფორმულა

სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"

	„რეგულარი" („ევრო რეგულარი")
R- ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის საქართველოს, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი (ცვლადი კომპონენტი);	**1.7086**
P - ხელშეკრულების გაფორმების დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN–ის FOB Med ბირჟაზე დაფიქსირებული საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი (2011 წლის 17,16,15 მარტი) მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი)	940.08
Z -ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი (დოლარში)	469
ჯამი დღგ-ს გარეშე დოლარში	1409
ჯამი დღგ ჩათვლით დოლარში	1662
ექვივალენტი ლარში	2841
D- ხელშეკრულებაში დაფიქსირებული წარმოდგენილი საწვავის სიმკვრივის მაჩვენებელი	0.7569
C- ერთეული ლიტრი ფასი ლარში	2.15

	დიზელი („დიზელ ენერჯი")
R- ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის საქართველოს, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი (ცვლადი კომპონენტი);	**1.7086**
P - ხელშეკრულების გაფორმების დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN–ის FOB Med ბირჟაზე დაფიქსირებული საწვავის ერთი მეტრული ტონის წინა სამი (2011 წლის 17,16,15 მარტი) მონაცემის საშუალო ფასი (ცვლადი კომპონენტი)	947.25
Z -ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი (დოლარში)	335
ჯამი დღგ-ს გარეშე დოლარში	1282
ჯამი დღგ ჩათვლით დოლარში	1513
ექვივალენტი ლარში	2585
D- ხელშეკრულებაში დაფიქსირებული წარმოდგენილი საწვავის სიმკვრივის მაჩვენებელი	0.851
C- ერთეული ლიტრი ფასი ლარში	2.2

შემსყიდველი:

ხელმოწერა

ბეჭედი

მიმწოდებელი:

ხელმოწერა

ბეჭედი